



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 704
10/04/2018

ქალაქი ბათუმი

704-05-4-201804101154



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა გამოსავლენი კომისიის შექმნის შესახებ

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების და კულტურის სამსახურის მიერ 2018 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, სტუდენტური და ახალგაზრდული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №79 განკარგულებით დამტკიცებული დანართი №4 -ს და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** :

1. შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა გამომვლენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) მალხაზ სალვარიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) გურანდა დოლიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;
- გ) ტარიელ ნაკაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
- დ) მადონა დავითაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;
- ე) ლენა გელაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების და კულტურის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ტურიზმის საკითხებში, კომისიის მდივანი;

3. დაევალოს კომისიას შემოსული განცხადებების საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა

გამოვლენა, რომლებსაც 2017-2018 წწ პირველ სემესტრში აქვთ 91 და მეტი ქულა (A კატეგორია) და 2018 წლის 12 აპრილამდე ინფორმაციის წარმოდგენა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

